



შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“

მის: 300 არაგველის N24

ელ. ფოსტა: [info.sgp@socar.ge](mailto:info.sgp@socar.ge)

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 იანვრის N429 წერილი, რომელიც ეხება ქ. ფოთის და ქ. თბილისის ტერიტორიებზე ნავთობპროდუქტების საცავების (ავტოგასამართი სადგურების) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რომელი წლიდან ფუნქციონირებს აღნიშნული ავტოგასამართი სადგურები და იგეგმება თუ არა ობიექტებზე რაიმე სახის მშენებლობა/რეკონსტრუქცია ან/და ნავთობპროდუქტებისათვის დამატებითი რეზერვუარების მოწყობა. აგრეთვე წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებებში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებების თანახმად, ავტოგასამართი სადგური უკვე მოწყობილია, თუმცა ასევე ვხვდებით ისეთ წინადადებებს, როგორცაა: რეზერვუარებზე მოსაწყობი სასუნთქი სარქველების სიმაღლე, რეზერვუარი დაყოფილი იქნება 6 ნაწილად და სხვა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს უკვე არსებული და დაგეგმილი საქმიანობები;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ქ. ფოთში არსებული მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 04.01.09.564, წარმოადგენს შპს


„ბლექ სი ინდასტრის“ საკუთრებას და მასზე არსებული ობიექტი იჯარით აქვს გადაცემული შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“, აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ქ. ფოთში მდებარე ავტოგასამართი სადგური დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 40 მ-ით, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ავტოგასამართი სადგურის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 04.01.09.138) მდებარეობს 20 მეტრში, სამხრეთ-აღმოსავლეთით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ქ. ფოთში არსებული ავტოგასამართი სადგურის ბეტონის სარკოფაგში მოთავსებულია 5 ჰორიზონტალური სტაციონარული რეზერვუარი, რომელიც დაყოფილი იქნება 6 ნაწილად საწვავის ტიპის მიხედვით, საიდანაც 3 - 24 მ<sup>3</sup>; 8,9 მ<sup>3</sup> და 5 მ<sup>3</sup> რეზერვუარი გამოყენებული იქნება ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 8,9 მ<sup>3</sup>; 8,9 მ<sup>3</sup> და 5 მ<sup>3</sup> მოცულობის 3 რეზერვუარი დიზელის საწვავისთვის. ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, რეზერვუარების საპროექტო მოცულობა - 34 მ<sup>3</sup>-ია, თუმცა ზემოაღნიშნული ბენზინისა და დიზელის რეზერვუარების საერთო მოცულობა შეადგენს 60,7 მ<sup>3</sup>-ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რეზერვუარების მოცულობა და მათი დაყოფის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ქ. თბილისში მდებარე ავტოგასამართი სადგური დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 50 მ-ით, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ავტოგასამართი სადგურის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 27 მეტრში მდებარეობს შენობა-ნაგებობა (ს/კ 01.11.12.019.146), რომელიც სავარაუდოდ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ქ. თბილისში არსებული ავტოგასამართი სადგურის ბეტონის სარკოფაგში მოთავსებული იქნება 5 ჰორიზონტალური სტაციონარული რეზერვუარი, საიდანაც 3 - 12,4 მ<sup>3</sup>; 11,8 მ<sup>3</sup> და 17,7 მ<sup>3</sup> რეზერვუარი გამოყენებული იქნება ბენზინის საწვავისთვის, ხოლო სამი- 12,2 მ<sup>3</sup> და 18,1 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი დიზელის საწვავისთვის. ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, რეზერვუარების საპროექტო მოცულობა 78,5 მ<sup>3</sup>-ია, თუმცა ზემოაღნიშნული ბენზინისა და დიზელის რეზერვუარების საერთო მოცულობა შეადგენს 72,2 მ<sup>3</sup>-ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რეზერვუარების მოცულობა და მათი ზუსტი რაოდენობა;
- სკრინინგის განცხადებებში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურების სამუშაო რეჟიმისა და ქ. თბილისში არსებულ ობიექტზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებების თანახმად, ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციისას სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში, ნარჩენი კანონმდებლობის სრული დაცვით იქნება გატანილი. დაზუსტებას საჭიროებს, რა სახის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნაა მოსალოდნელი და რა შემთხვევაში მოხდება ექსპლუატაციის ეტაპზე მათი წარმოქმნა;

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებებში აღნიშნულია, რომ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტების ძირითად უბნებზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების წარმოქმნასა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, თუმცა დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გაფრქვევის სავარაუდო მოცულობების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, „ობიექტზე უსაფრთხოების მიზნით განთავსებულია დაღვრის სპეციალური აღჭურვილობა. ეს შეიძლება იყოს აბსორბენტები ან/და ქვიშა, რომელიც გამოიყენება საჭიროებისამებრ“. განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური/დაზუსტებული ინფორმაცია აღნიშნული „დაღვრის სპეციალური აღჭურვილობის შესახებ“;
- სკრინინგის განცხადებებში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედების შესახებ.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

